საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/04/2023
N 723

723-09-02-11-3-202304281244

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ **ილია ვერძაძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

სსიპ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი „იდეატორი"-ს მიერ წარმოდგენილ პეტიციაზე - „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ" (№09-02-13-გ/1069, 26.12.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 28 აპრილის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2023 წლის 20 აპრილის №29 გადაწყვეტილების შესაბამისად, სავალდებულო კომიტეტის რანგში განიხილა სსიპ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი „იდეატორი"-ს მიერ წარმოდგენილი პეტიცია „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ" (№09-02-13-გ/1069, 26.12.2022).

I. პეტიციის ძირითადი არსი

პეტიციაში აღნიშნულია, რომ საახალწლო პიროტექნიკის არასათანადო გამოყენებისა ან მისი ხარისხის გამო საქართველოში ყოველწლიურად მრავალი ადამიანი ზიანდება და მისი გამოყენება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ ფრინველებისა და ქუჩაში მცხოვრები ცხოველებისთვისაც.

პეტიციაში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები თუ რამდენი მოქალაქე დაზიანდა პიროტექნიკის გამოყენების შედეგად სხვადასხვა წლებში.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, პეტიციაში საუბარია, რომ უხარისხო ან დაბალი ხარისხის ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებასთან ერთად

პიროტექნიკის მომხმარებლების მიერ არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები. კერძოდ, პიროტექნიკის გამოყენება ხდება აივნებზე, ქუჩებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში, რის გამოც ზიანი ადგება გარშემომყოფი ადამიანების უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას. პეტიციაში ასევე აღნიშნულია, რომ პიროტექნიკის გამოყენებით ზიანი ადგება გარემოს და ეკოლოგიას, ვინაიდან პიროტექნიკის გამოყენების შედეგად ჰაერში იფრქვევა მავნე და ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც აბინძურებენ ჰაერს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პეტიციის ავტორებს მიაჩნია, რომ პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესება ხელს შეუწყობს უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნას.

II. კომიტეტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა შეისწავლა პიროტექნიკურ ნაკეთობებთან დაკავშირებით (რეალიზაცია, გამოყენება და ა.შ.) საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები. კერძოდ:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის:

ა) მე-3 მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, საყოფაცხოვრებო დანიშნულების პიროტექნიკური ნაკეთობა არის თავისუფალი გაყიდვისათვის ნებადართული პიროტექნიკური შემადგენლობის მქონე ნაკეთობა, რომელიც განკუთვნილია სინათლის, ხმოვანი, კვამლის და კომბინირებული (მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო და საზეიმო ღონისძიებების ჩატარების დროს;

ბ) მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება აკრძალულია მასობრივი თავშეყრის ღონისძიებების (საღამოები, დისკოთეკები, საახალწლო, სპორტული, საკონცერტო, თეატრალური და სხვა წარმოდგენები) ჩატარებისას შენობა-ნაგებობებში;

გ) მე-19 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტის თანახმად, პიროტექნიკური ნაკეთობა უნდა იყიდებოდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილ სავაჭრო ობიექტებში;

გ.ბ) მე-10 პუნქტის თანახმად, პიროტექნიკური ნაკეთობების რეალიზაცია დასაშვებია სპეციალიზებულ მაღაზიებში, განყოფილებებში (სექციები), პავილიონებსა და ჯიხურებში, სადაც ისინი დაცული იქნებიან პირდაპირი მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან;

გ.გ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პიროტექნიკური ნაკეთობის რეალიზაცია აკრძალულია პროდუქციის საიდენტიფიკაციო ნიშნების არარსებობისას (დაკარგვისას), ვარგისიანობის ვადის ამოწურვის შემდეგ, დაზიანების ნიშნების არსებობისას, ექსპლუატაციის ინსტრუქციის გარეშე;

გ.დ) მე-14 პუნქტის თანახმად, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება აკრძალულია - ნებისმიერი ფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, სათავსებში; შენობა-ნაგებობების სახურავებზე, აივნებზე, ლოჯიებსა და ფასადის

გამოშვერილ ნაწილებზე; სასცენო მოედნებზე საკონცერტო და სადღესასწაულო ღონისძიებების ჩატარებისას; მიტინგების, დემონსტრაციების, მსვლელობების, პიკეტირების დროს.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით, დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ფეთქებადი, ადვილად აალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევისათვის.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის:

ა) 77^1 მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე. ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, აკუსტიკურ ხმაურში იგულისხმება „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკუსტიკური ხმაური, მათ შორის, პიროტექნიკური ნაკეთობის მიერ გამოცემული ხმაური;

ბ) 77^2 მუხლი აწესებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებისთვის. ამავე მუხლის შენიშვნის:

ბ.ა) პირველი ნაწილის თანახმად, 77^2 მუხლის მიზნებისათვის პიროტექნიკურ ნაკეთობაში იგულისხმება პიროტექნიკური შემადგენლობის ნაკეთობა, რომლის თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და რომელიც განკუთვნილია სპეციალური სამუშაოების მიმდინარეობის, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო (საზეიმო) ღონისძიებების ჩატარების დროს სინათლის, ხმის, კვამლის და კომბინირებული (მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად;

ბ.ბ) მე-2 ნაწილის თანახმად, 77^2 მუხლის მიზნებისათვის ღამის საათებში იგულისხმება დრო 23:00 საათიდან 08:00 საათამდე;

ბ.გ) მე-3 ნაწილის თანახმად, 77^2 მუხლის ნორმები არ ვრცელდება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებზე (31 დეკემბრის 21:00 საათიდან 2 იანვრის 23:00 საათამდე და 13 იანვრის 21:00 საათიდან 14 იანვრის 23:00 საათამდე), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღესა (9 აპრილი) და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე (26 მაისი);

გ) 156^1 მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისთვის მიყიდვაზე.

საქართველოს კანონმდებლობით პიროტექნიკურ ნაკეთობებთან დაკავშირებით დადგენილი ზემოაღნიშნული რეგულაციები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პეტიციაში აღნიშნული ცალკეული საკითხები სამართლებრივი თვალსაზრისით ნაწილობრივ მოწესრიგებულია შესაბამისი ნორმატიული ბაზით. კერძოდ, პიროტექნიკური ნაკეთობების თავისუფალი წვდომის აკრძალვა, უსაფრთხოების ნორმების არსებობა და ა.შ.

რაც შეეხება პიროტექნიკური ნაკეთობების თავისუფალი წვდომის სრულად აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების თაობაზე არსებული ნორმატიული ბაზის ცვლილებას ან/და ახალი რეგულაციების დაწესებას, იგი

სცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას, ვინაიდან აღნიშნულის უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

პიროტექნიკის საქართველოში შემოტანაზე, ფლობაზე, რეალიზაციაზე და გამოყენებაზე ერთიანი ჩარჩო რეგულაციის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში ინიციირებულია და ბიუროს 2023 წლის 3 აპრილის №238/1 გადაწყვეტილებით დაწყებულია განხილვის პროცედურები საქართველოს კანონის პროექტებზე - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/305; 28.03.2023). კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, პიროტექნიკის გამოყენება დასაშვები მთავრობის განკარგულების საფუძველზე იქნება. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება განსაკუთრებულ შემთხვევებში, მიიღოს ერთჯერადი განკარგულება და დაუშვას პიროტექნიკის გამოყენება. ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება ექნება პიროტექნიკა შემოიტანოს, ფლობდეს და გამოიყენოს მთავრობის განკარგულებითვე განსაზღვრულ დროსა და ადგილას. ასევე, დასაშვები იქნება დაბალი საფრთხის პიროტექნიკის გამოყენება და ასევე ნებისმიერი სახის პიროტექნიკის ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადატანის მიზნით. აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტზე 2023 წლის 26 აპრილს იმსჯელა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, რომლის გადაწყვეტილებითაც საკანონმდებლო ინიციატივაზე გაგრძელდება მუშაობა.

III. დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი „იდეატორი“-ს პეტიცია - „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსაზრებებისათვის გადაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე